

ა ნ ა ნ ი

№1 დანამბი 2012 წელი
ფასი 5 ლარი

NEW

საუნჯე

ტექსტების და
ხმოვანების
ფონეტიკა

1970
2012

ზურაბ კიკნაძე
თუ შიილი ყმყოფილოებს,
მონქს, სტანსტონი ტაშტა

ნომრის ავტორები

მელვა ბაურონი ANNE SEXTON

SOS

ბანახიონის
"ბაილი"

სირა ყურაშვილი

ლელა კოდლაშვილი
დავით ანდრიკაძე

კარლო კაჭარავა ბასო გვაშელიძე

MAYA ANGELOU & ELIZABETH BISHOP

ანი კოვალჩიანი & მანანა მათიუშვილი ბახიმა ნიქაძე

READ

050(479.22)



მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

გამომცემელი:
პაატო ნოშაძე

დიზაინი:
თეა ბაქრაძე

დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

ნომერზე მუშაობდნენ:
შალვა ბაკურაძე
დინა მინაძე
ზურაბ კიკნაძე
ანი კოხლიანი
ლელა სამხინაშვილი
სალომე ბენიძე
ქეთი თოთხაძე
დავით ბაგუნია
ქეთი ზნორიშვილი
დალილა გოგია
ცირა ყურაშვილი
ლიკა კახარაძე
ბესო ხვედელიძე
მანანა მათიაშვილი
ბელა ჩაქურიშვილი
დავით ანდრიაძე
ლელა კოდალაშვილი
მარიამ წიკლაური

ქურნალში იბეჭდება მხოლოდ
შეკვეთილი მასალები

ელ-ფოსტა: axalisaujje@yahoo.com

ტირაჟი - 2000 ეგზემპლარი

გამომცემლობა - „საუნჯე“

მის.: ალ. შაჰმაზის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunjje-saunjje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/

Saunjje publishing [http://www.](http://www.facebook.com/saunjje)

facebook.com/saunjje

ნომრის ავტორები

შალვა ბაკურაძე

პოეზიისგან ერთხელ მაინც თუ მიიღე
კმაყოფილება, მორჩა, აღარაფერი გამოვა (5)

ლექსები (6) (8) (18-20)

<განგებულება ხორცთ...> (11)

ზურაბ კიკნაძე - ორიოდ სიტყვა
ტექსტისათვის <განგებულება ხორცთ...> (16)

შალვა ბაკურაძის შესახებ (15, 20)

ან სემსტონი

მასწინ ჟამინი - ასე იყო... (21)

ლექსები (22) (24) (27-32)

დაიან ვუდ მიდლბრუკი - ხელოვანი
ქალბის საზოგადოება, 1963 წელი (23)

ენ სემსტონის შესახებ (29, 31)

19

ბალატიონოლოგია

ცირა ყურაშვილი - გადია, ვარდები,
კრანზანები, ყველი და მისხალი (35)

ბალატიონო ტაბიძე - გადია (ფრაგმენტი) (37)

არქივიდან

ბარლო კახარაძე - მე-10 სართულის
ისტორიიდან (41)

მოგზაურის ჩანაწერები

ბასო სვადელიძე – ნამასტე (47)

კრიტიკა, ესეისტიკა

დავით ანდრიაძე – SOS! სტალინი მახსოვს ბავშვი (65)

ლელა კოძლავაძი – ლიტერატურული ფარისევლობანი (78)

მარიამ ნიკლაური – უყურადღებოდ დარჩენილი
ქართული საბავშვო ლიტერატურა (84)

ლიტერატურული სიასწავები

ბელა ჩეჰურიშვილი – ქართული სიტყვა საზღვრებს გარეთ (91)

ელიზაბეტ ჰაივეი – გუგლი, ჭადრაკი და
თვითრწმენის ხელოვნება (96)


თარგმანის კრიტიკა

მანანა მათიაშვილი – „ფენომენალური ქალის“ ანალიზი (99)

მაია ინჯუალოუ – ფენომენალური ქალი (100)

ანი კოჰალიანი – ჯერონიმოს სახლი (104)

ელიზაბეტ ბიშოპი – ჯერონიმოს სახლი (106)



შალვა გაკურაძე



ჰოეზიისგან ერთხელ გაინც თუ მიიღე კმაყოფილება, მორჩა, ალარაფერი გამოვა

სოაუნში დავიბადე, იქ დავამთარე სკოლა, იქვე ჩავაბარე უნივერსიტეტში. შემდეგ დაიწყო ომი და ერთი წელი ჯარისკაცად მომინია ყოფნა.

ჩემი მშობლები ძალიან კარგი ადამიანები არიან. მამაჩემი ცნობილი სპორტსმენია, დედაჩემი – დიასახლისი, პროფესიით ეკონომისტი. ორივე ძალიან კეთილია, ცხოვრებაში არასოდეს ჩაუდენიათ რაიმე ბოროტება. სიკეთის გარდა, გულში არაფერი გაუფლიათ. ძმა ადრე პიანისტი იყო; ახლა ამ საქმეს თავი გაანება, რაღაც ბიზნესშია გადავარდნილი და ჩემი ხშირი მცდელობები, როგორმე ისევე მუსიკისკენ მივაბრუნო, მარცხით მთავრდება. მყავს ცოლი და ორი მშვენიერი გოგონა. უმცროსი ნინიტა წლინახევრისაა, უფროსი თაკო – თოთხმეტის. გვაქვს ზღაპრული ურთიერთობა. ცოტა სახლი გვაქვს პატარა და ხან ტელევიზორთან არ არის ადგილი, ხან კომპიუტერთან და ხან საძინებელში, მაგრამ მაინც ვძლებთ.

თვრამეტის ვიყავი, იოანე მინჩი რომ წავიკითხე და მაშინ უკვე ვთვლიდი, რომ, ფაქტობრივად, მთელი პოეზია ათვისებული მქონდა. ჩემი მესხობა და პოეზია ერთად მოდიან. არ მახსოვს დრო, როცა თავი პოეტი არ მეგონა. სულ პატარა რომ ვიყავი და მეკითხებოდნენ – ვინ ხარო? პოეტი-მეთქი. ახლა რომ მეკითხებიან, არ ვამბობ, პოეტი ვარ-მეთქი. სანამ წერა არ ვიცოდი, ზეპირად ვამბობდი ლექსებს, წერა რომ ვისწავლე – ვწერდი. სანამ რითმის შესახებ შევიტყობდი, ურთიმოდ ვწერდი, რითმა რომ გაეგე, რითმიანის წერა დავიწყე, მერე რითმა რომ ყელში ამოვივიდა, ისევე ურთიმოზე გადავდი, ბოლოს ორივეს გემო რომ გავეუღე, ხან ურთიმოს ვწერდი და ხან რითმიანს და დღემდე ასე

გრძელდება. ათასნაირი სტილიზება მაქვს გაკეთებული მთელი ქართული პოეზიის და მხოლოდ ქართულისაც არა, აი, ჰუმერულიც კი გავაკეთე.

ლექსების 70-80 პროცენტში პუნქტუაციას არ ვიყენებ. მიმაჩნია, რომ პუნქტუაცია ზედმეტი ტვირთია საერთოდ რაღაცის გასაგებად. პუნქტუაცია ცალკე აღებული მხატვრული ხერხია, ისევე როგორც გრამატიკული ფორმა შეიძლება იყოს მხატვრული ხერხი. პუნქტუაციის გამოყენება, ჩემი აზრით, ლექსს ძალიან ღლის. ბევრმა მხატვრულმა ხერხმა: შედარებამ, განაზღვრებამ, პიერზოლიზაციამ და ა.შ. უკვე იმდენად ამოწურა თავი, რომ აღარაა საინტერესო.

საკუთარი შემოქმედების ძალიან კარგი შემფასებელი მყავდა, თუმცა ბოლო ოთხი წელია აღარ ეწელობი მას (საკუთარ თავს ვეულისხმობ). ვიყავი ჩემი ლექსების საუკეთესო კრიტიკოსი და მაქვს ბარგი, მაგრამ სადღესოდ კრიტიკოსად ჩამოვყალიბდი. საერთოდ პოეზიას ძალიან მაღალ მიზნებს ვუყენებ... არც ვიცი, ვინმე კითხულობს თუ არა ჩემს ლექსებს, აინტერესებს თუ არა, ამიტომ საერთოდ აღარ ვფიქრობ მკითხველზე. იგი თავის გზას თვითონ იპოვის. წერის პროცესში არა, მაგრამ რომ მოვრჩები წერას, მერე წარმოვიდგენ ხოლმე, ამას რომ ვინმე წაიკითხავს, შეიძლება მოიწონოს თუ არა... მაგრამ იქვე წყდება ეს ფიქრები... სადაა კრიტიკა, ნეტა ვინმემ გამაპირტიკოს. ოცდასამი წელია აქტიურად ვიბეჭდები, არაა დარჩენილი ლიტერატურული პერიოდიკა, ჩემი ლექსი რომ არ გამოქვეყნებულიყოს, მაგრამ არ მახსოვს, ამას რამე კრიტიკული წერილი მოჰყოლიდა. იყო წერილები კონკრეტული ლექსების შესახებ და ძირითადად სულ დადებითი,



ზოგი ასე მატყუდა, ზოგი — ისე, მაგრამ ვინმეს რომ რაზე შენიშვნა მოეცა, მსგავსი არ მახსენდება. თუმცა არა, ერთხელ ზვიად რატიანიმაც დაწერა „ალტერნატივაში“ პატარა წერილი შენიშვნებით და მაშინაც უკმაყოფილო ვიცავი, რადგან ძალიან ძაბვით წერილი იყო და ცოტა იყო შენიშვნები. მას მერე მსგავსი რამ არც ყოფილა.

ხანდახან, როცა გრძნობ, რომ შენი არავის არაფერი ახსოვს და არც აინტერესებს, ამას გულსატკენა არ ჰქვია, ამ დროს ადამიანმა შეიძლება ხელი ჩაიღებოს, მაგრამ მე ვერანაირად ვერ ჩავიქნევ ხელს. მძიმე გადასატანია, როცა აკეთებ იმას, რასაც ძალიან დიდი თავგანწირვა სჭირდება და ის აბსოლუტურად პაერში იფანტება, არავისთან არ მოიხდა... ამასწინათ მეგობრებმა მომწერა, რომ მაშინის, რომელიც ავანგარდისტი მოქანდაკეა და ზუსტად იგივე პრობლემები აქვს. უთქვამს, ხელოვნების სამსახური ოჯახში უნაშთო ძალის შემოყვანას ჰგავს. ის. ესაა ქალი, რომელსაც სექსუალური ორგანოც კი არა აქვს და მისი ყოველი დაფუძნებინება ღვთაური ჩასახვის აქტია. როდესაც დაქორწინებული ხარ ხელოვნების ამა თუ იმ დარგზე და განსაკუთრებით პოეზიაზე, სიამოვნებას, უფრო სწორად, კმაყოფილებას ვერ მიიღებ. პოეზიისგან ერთხელ მაინც თუ მიიღე კმაყოფილება. მორჩა, აღარაფერი გამოვა. პოეზია მხოლოდ შობს, შენ არაფერს გიტოვებს. ამაზე ჩემი პოემა „ქმრების საკითხავიც“, საერთოდ, ძირითადად სულ ამ თემის ელტრიალება. ვფიქრობ, რომ ის, რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია წენთვის, — წავალითად, რწმენა, რელიგია, პოეზია, — კმაყოფილებას ვერ მოგანიჭებს. იგი მხოლოდ იმისთვისაა, რომ შენი ცხოვრება გაგრძელდეს და როდესაც იგი მორჩება, სიკვდილიც უკვე ძალიან ახლოს არის, ძალიან ნაღვ მოდის. შემოქმედებითი კმაყოფილება ან უკმაყოფილება სრული სისულელეა, როცა ამბობ: „უკმაყოფილო ვარ“, ან „კმაყოფილი ვარ“, რითი ხარ კმაყოფილი? დუბაბი ხომ არ იყავი ავადპროდი?

წერის ხასიათზე სულ ვარ, მაგრამ არანაირად არ შეიძლება, ყოველთვის წერო, როცა რაღაც ფიქრი მოიგია თავში. წერა ნაყოფიერ აქტია, მაგობური აქტის ყოველთვის განხორციელება კი არ შეიძლება... ადამიანს უამრავი ფიქრი უწნდება, და კარგი ფიქრი ცუდისგან თუ არ განასხვავა, ყველა ფიქრი სისარულეში თუ მოიყვანა, ტალახში ამოთხვრება და ცოდვებში ამოყოფს თავს. ასეა პოეზიაც. ბევრი პოეტია აკეთი, მოუვა მუზა, „გახეხნება“ და იწყებს წერას, და წერს ასე უსასრულოდ... ამას არაფერი შედეგი არ მოაქვს. ისინი ან კმაყოფილებას გრძნობენ ამისგან, ან უკმაყოფილებას და შედეგი არ

მიიღება, ნაყოფი, ღმერთივით რაღაც, რაც ადამიანებს გზა გაუწილებს მრავალი საუკუნის განმავლობაში... განა ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ისეთ აბსურდულ საქმიანობას, პროტობა რომ ჰქვია, მოეუბნებენ თავდახრილი მოუყვებთან და ენაბურვებთან? ხომ ძალიან ცოტაა ასეთი ხალხი? ეს ხომ არაა ის საქმიანობა, რომლისგანაც რაიმეს მიღება შეიძლება? ვერაფერს მიიღებ აბსოლუტურად, შენ არაფერი გეძლევა ამისგან. მაქაიმუმ, შეიძლება ასტორდაში დაგპატიჟონ, ან კიეში და ორი-სამი დღე უფასოდ გაიყვან ღუდვი, მაგრამ სულიერ კმაყოფილებას ამისგან ვერ მიიღებ.

არ მიცვარს, როდესაც პოეტები ერთმანეთს ლექსებას უთითებენ. ესაა სრული სისულელე, მარაზმი. მე მიცვარს, როდესაც პოეტები დაახლებიან და ერთმანეთს გაუმხელენ — რა უყვართ, როგორ უყვართ, რა შეხედულებები აქვთ ლიტერატურაზე, თბილმეტი ნუთი რომ ილაპარაკებენ ამის შესახებ, შემდეგ მოუჭახუნებენ ერთმანეთს ღუდვის ქიქის, დალევენ და დამეგობრდებიან. ეს არის ყველაზე კარგი ფესტივალებზე.

როცა კვდებიან ზღვა მაშინაც განაგრძობს ხმაურს და ხომალდებიც განაგრძობენ სვლას დასავლეთით საამოდ თვლემენ ფრინველები მაღალ ანაბეზზე გადმოფრენილი შორეული კუნძულებიდან

როცა კვდებიან ზღვა მაშინაც განაგრძობს ხმაურს ეზიდებიან მძიმე ბადეს მებადურები ნოტიო ქვიშით ლაყუნები ევსებათ თევზებს და ქალწულები ვახშმისათვის კოკონს ანთებენ

როცა კვდებიან ზღვა მაშინაც განაგრძობს ხმაურს შეცვარებულნი ეძლევიან სიყვარულს ღამით დღისით სიყვარულს დაეძებენ ხელოსანებით და საღამოებზე ჩვეულებრივ ზღვას გააყურებენ

როცა კვდებიან ზღვა მაშინაც განაგრძობს ხმაურს ღამის თითხება მზის სხივები ეტანებიან ძველ კარადაზე „სურნელებზე მწიფე ბამბები“ და ლოგინები უჩივიან სიკარგიულს

ზეგავლენის დაძლევა შემოქმედებით ზრდასთან
კავშირში არაა. ძალიან მინდა დღესაც ისეთი
ზეგავლენა მქონდეს, როგორიც ჯერ კიდევ ათი
წლის წინ მქონდა. ერთადერთი ადამიანი, რომელ-
მაც ვიცი, რომ გავლენის გარეშე დაიწყო წერა, არის
შოთა იათაშვილი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებო-
და, რომ ცარიელ ადგილას განადა უცებ, როგორც
„ნატვრის ბეში“ ბრონეული. ძალიან იმეიათია, პოეტს
გავლენა არ ჰქონდეს. ბევრი ასეთი გავლენის შე-
დეგად ყოველთვის იხადება წერის გაველიწაღური
კულტურა, სინტაქსი, ლექსიკა, გააჩნია, რომელი
ავტორების ნახავს გააკეთებ. ინდივიდუალიზმი ასე
იხადება და მას დრო და თავგანსირება სჭირდება.

პირველად, როდესაც ჩემი ქუთუ, სერიოზუ-
ლად დაიწყო წერა ცამეტი წლის ასაკში, ვბაძე-
დი ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მერე – ნიკოლოზ
პარათაშვილს, მერე – გრიგოლ ორბელიანს, ანუ
სკოლაში რომელ ავტორებსაც გავდიოდი, მათ
ვბაძედი. შემდეგ დაიწყო აკაკი წერეთლის მიბა-
ძვა. ორი უზარმაზარი პოემა დაეწერე მის სტილში
და გაეფიქრე: ასე წერას რა უნდა-მეთქი, რადგან
მართლაც წყალბოთი წავიდა. მერე ილია ჭავჭავაძეზე
გადავედი და ავითვისე მისი ინდივიდუალულობა.
ეს ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა, პარალელუ-
რად რუსულ პოეზიასაც ვკითხულობდი. მერე გივი
გვეგეტქორი გავიცანი და მან ჩემზე ძალიან დიდი გავ-
ლენა მოახდინა: როგორც ადამიანმა თავისი პირდა-
პირობით, ასევე მისმა თარგმანებმა და განსაკუთრე-
ბით, ორიგინალურმა ლექსებმა. ეს ყველაფერი
ძალიან კარგად მიდიოდა, სანამ გალაკტიონის
კითხვა არ დაეწიე. წელიწადნახევარი ზღაპარში
ვიყავი და მისი ლამის ყველა ლექსი ზეპირად ვი-
ცოდი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ
ყველაზე საშიშელი წიგნი, რომელიც შეიძლება
ახალგაზრდა პოეტმა იკითხოს, ესაა გალაკტიონი.
ამიტომ ავდექი, დავჯივ და გადავაგდე. იმის შემდეგ
გალაკტიონი აღარ წამიკითხავს. ისე, სადმე შემთხ-
ვევით თუ გადავიყრები, ერთ-ორ ლექსს ჩაგვხდევ
და მესამოვხედავ, თორემ აღარ ვკითხულობ. ამის
შემდეგ ბევრი ვკითხე თანამედროვე ავტორები:
დათო ბარბაქაძე, დათო ჩიხლაძე, შოთა იათაშვილი,
ზვიად რატიანი და ბესიკ ხარანაული. ყველა მათ-
განი ჩემზე რაღაც გავლენას ყოველთვის ახდენდა,
მაგრამ ისეთი გავლენა, როგორიც გალაკტიონმა
მოახდინა თავის დროზე და გივი გვეგეტქორმა თავი-
სი სინტაქსით, აღარ მქონია, თუმცა გივი გვეგეტქო-
რის გავლენას სინტაქსში დღესაც განვიცდი და ეს

მომწონს. ძალიან მაგარია, მოიფიქრო პოეზიაში
ასეთი სინტაქსი და ეს გამოიყენო. ეს იმას ჰგავს,
რუსეთში ჰუშკინმა რომ მოიფიქრა ახალი რუსული
ლექსი, აი, თითქმის ვიღაც ყურთან რომ გიწას და
ჩაგურჩულებს და ყველაფერი ძალიან მარტივი და
გასაგებია. ასეთივე სინტაქსი აქვს გივი გვეგეტქორს.
ქართულ ლექსში ჩვეულ რიტმს ოდნავ თუ გადაუხ-
ვევ, მკითხველი თითქმის აზნოდვანებაში ვარდება
და ველარ იგებს. გაუგებრად წერო, მაშინვე გეტყ-
ვიან. გივი გვეგეტქორს ნებისმიერ რთიმასა და რიტ-
მში ამ სინტაქსით შეუძლია ისე გელაპარაკოს, რომ
ყველაფერი გასაგებია, სხვა საკითხია, ნათქვამში
ჩადებულის აზრს იზიარებ თუ არა.

მეგობრები და კოლეგები მე არ ამირჩევიან და
არც მათ აფერჩევიან. მეგობარი პოეტი არ შეიძ-
ლება იყოს ის, რომლის შემოქმედებასაც არ ვაფასებ.
პოეტი ისედაც რთული ადამიანია, და მით უმეტეს,
თუ მისი შემოქმედება არ მომწონს, დღე და
ღამე ჩუბი გვექნებოდა და ვერ ვიშვებოვდით.
ამიტომ ჩემი მეგობარი ვინცაა, ყველა მათგანის
შემოქმედება მომწონს. ვისი შემოქმედებაც მომ-
წონს, ყველა ჩემი მეგობარია თუ არა, ეგ კიდევ
ცალკე საკმეა. თუმცა ვიცი, რომ ადრე თუ გვიან
ყველა ჩემი მეგობარი შეიძლება გახდეს. მე უკვე
ვარ, დაქტორივარ, მათი მეგობარი. ვინც კარგად
წერს, ყველა ჩემი მეგობარია.

ჩემი ახალი წიგნი „დასდებულნი წმიდისა აღდგო-
მისაზე“ მალე გამოვა, ალბათ დეკემბერში, ან უფრო
ადრეც. მთელი წიგნი აწყობილი და გამსაზრებელი
მაქვს, ყდაც კი, თემო ჯავახიშვილმა თავისი არაჩვეუ-
ლებრივი ნახატი მაჩუქა – „მამაო ჩვენო მორზეს
ანანაზე“. ეს ნახატი გამოვიყენე ყდისთვის... კიდევ
მაქვს წიგნი თევზებზე, რომელსაც შოთა იათაშვილ-
მა „ისტორიოლოგიური ლექსები“ უწოდა. ამ ყველგან
საინტერესო ისტორია აქვს. მე მათ მეთევზეთა-
საიტს ვუნერდი, მინდოდა ამესხნა მათთვის ამა თუ
იმ თევზის ბუნება. მეცნიერულად ამის ახსნას ვერ
დავიწყებდი, ვწერდი როგორც შემეძლო. ამ ყველგან
ერთგვარად ადამიანური მომენტები, იმიტომ, რომ
თევზის დაჭრაში, წყლიდან ამოყვანასა და ტაფაზე
დაგდებაში არაფერი რომანტიკული არაა, თუ ამას
რადღაც აზრი არ მიეცი. როგორც ეს თავის დროზე
ქრისტეშე გააკეთა: მან ხომ მებაღურები აირჩია
თავის მოციქულებად. ადრე მწყემსებს ირჩევდნენ,
მწყემსების რელიგია იყო და უცებ ეს კარდინალუ-

რად შეიცვალა, მწყემსებს შეენაცვლნენ მეთევზეები. ეგ ნიგინც გამზადებული წაქვა, მაგრამ უნდა დავაავტოვო ცოტა ხანი. ყველაფერს სჭირდება დასვენება. მე ხომ რაჭველი ვარ წარმოშობით, ყველა მხრიდან რაჭველი ვარ და ასეთი სიღინჯე მახასიათებს. არასოდეს არსად შეჩქარება, ზედმეტ ემოციებს არ გამოუხატავ, განსაკუთრებით ლიტერატურაში. ვიცი, რომ ყველაფერმა, რაც შეიძლება კარგი გამოვიდეს, აუცილებლად უნდა დაისვენოს. ბევრი პოეტი ფიცრობს ასე: ახლა ისეთი რამე დავწერე, შეხაბამისი დროა და უნდა გამოვაქვეყნო. რას ჰქვია ზუსტად ის დროა? როგორ შეიძლება, მხატვრული ნაწარმოებისთვის რაღაც დრო არსებობდეს? როგორ შეიძლება, რაღაც დროს გამოქვეყნებული უფრო მნიშვნელოვანი იყოს? შენ ხომ იმისთვის არ წერ, რომ დღეს და ივალ იარსებოს? შენ ისეთი რამ უნდა დაწერი, რაც მარტო მომავალში კი არა, არამედ წარსულშიც იარსებებს, აი, როგორც ის შემერული პოემა „განგებულუბა ხორცი...“, რომელიც უმრავლესობას თარგმანი ეგონა და რომელიც შექმნის არა მარტო მომავალს, არამედ წარსულსაც. მე კარგმა, ჩახედულმა ასირიოლოგებმა შენიშნა მომცეა: არასწორი სტილიზაცია გაქვს გაკეთებული. ვაზს და ღვინოს რომ ახსენებ, შემერების დროს არ იყო ვაზი და ღვინო. მე ეუთხარი, არ იცით, დიდი დავა რომ მიდის ასირიოლოგიაში, შემერების დროს იყო თუ არა ვაზი და ერთი-ორი მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შეიძლება იყო და ნახსენები არ არის-მეთქი... აგერ გიძებთ ისტორიულ დოკუმენტს, რომ შემერულ ტექსტში ნახსენებია ვაზი და ღვინო, ე.ი. იყო ვაზი და ღვინო-მეთქი. ასე იქნებოდა წარსულიც. ლეონტოსიდან დაწყებული, მთელი ანტიკური ეპოქის პოეტებს შექმნილი აქვთ თავიანთი წარსული. მათმა ტექსტებმა არა მარტო მომავალში იარსებეს, არამედ წარსულიც შექმნეს, ის დრო, როდესაც ეს ტექსტები ჯერ არ არსებობდა.

ჩემი დარღია ის, რომ დარდი საერთოდ არ მაქვს. ჩემი ფიქრია ის, რომ ფიქრი ზღვისკენ გამიზნის. სახლში რომ ვიყო, დავკიდებდი ეზოში ჰამაკს, არ ვიქნებოდი იმ ჰამაკში ასე ღარიბი, სახლში რომ ვიყო, პარმაღის წინ დამლიდა ჯდომა, იმ სახლში კიდევ შენც რომ მყავდე, მაშინ რა მიჭირს, მაგრამ სხვაგან ვარ უშენოდ და სიბნელეს ეზომავ და ჩემს მხრებს უკან ქრება ყველა ჩემი ნაბიჯი. ახლა ლამეა და ვერაფერს ვუწერებ ნატვრებს, არც ძალა მყოფნის, რომ ეს გული ისევ ჩავრაზო, მინდა გიყვარდე, ისე როგორც გიყვარდი ადრე, მინდა მიყვარდე ისე როგორც... როგორც არასდროს.

„პინკ ფლოიდს“ სულ ვუსმენდი, მათ კომპოზიციებს დღემდე ვემახი „პინკ ფლოიდის“ პოემებს. ჩემს პოემებსაც „პინკ ფლოიდის“ პოემების სტრუქტურის მიხედვით ვაგებდი. ამას წინათაც დავეჭვი და მოვიხიმიე „Atom heart Mother“. მართლა პოემეზია. მათ პოემებში ძალიან ბევრი სტილი ცვლის ერთ-მანეთს. სრული ავანგარდი მინიმალიზმამდე ჩამოდის, მინიმალისტურ მუსიკას მძიმე როკი ცვლის, მძიმე როკს შეიძლება ადვანსდელი გრანჟი რაზეც დგას, ის ცვლიდეს. უანრავი სტილური აღრევაა და შედეგად ვიღებთ ერთ გრძელ პოემას, რომელსაც აქვს დახანყისი, დახასრული და, რაც მთავარია, შევრულია. „თევზაობა“ და „ქმრების საკითხავი“ მაგ კონცეფციით მაქვს აგებული, რადგან ლიტერატურაში ასეთი სტრუქტურის პოემის მაგალითები არ მოგვეპოვება... ზოგჯერ მგონია, რომ კლასიკური მუსიკაც მიყვარს და მესმის, მაგრამ ლამაზ ბულაქს რომ მოუღუსენ ხოლმე თავისი წიაღსვლებით, ვან-ბობო: არაფერი არ ვიცი-მეთქი. კლასიკური მუსიკის მოსასმენად განწყობა მჭირდება, ამიტომ მგონია, რომ არ ვარ კლასიკური მუსიკის მამნებელი, თუ განწყობა არ მაქვს, ვერ ვუსმენ ვერანაირ მუსიკას.

ზოგიერთ ლექსს თვალდახუჭული ვკითხულობ, წამღერებით. თითოეული ასეთი ლექსის ნაკითხვის შემდეგ ხანგრძლივ სიმუნჯეში ვვარდები, იშვია

ენერგია მიჰქვს ამას. არა მარტო ლექსის ასე კითხვას, არამედ ლექსის კითხვას ზოგადად. ამიტომ იმეორეთ და დაეცით. რაც შეეხება კითხვის მანერას, ლექსი როგორ რიტმშიც იწერება, ისე ვკითხულობ.

ადამიანებთან ურთიერთობისას თითქმის ჩიპები მაქვს ყურში დაყენებული. ზოგჯერ შეიძლება ადამიანი მოვიდეს, ილაპარაკოს და ეს ჩიპი თავისით გამოირთვება და ვერაფერს ვისმენ. ადამიანი თუ საინტერესოდ ლაპარაკობს, საინტერესოდ იცეცება, ძალაუნებურად შედისარ კონტაქტში, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც შენი გადასახდელადან აბსურდად ჩანან. ვერანაირად ვერ ავმაღლი იმ დონეზე, რომ რაღაცები აბსურდად არ მომიჩვენოს. ჩემთვის გვეყვანაზე არსებობენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებსაც ვიცნობ და რომლებზედაც ვფიქრობ. ბევრი ამბობს, რომ ნიკარაგუაშიც არის ხალხი, აფრიკაშიც და იმათთვისაც უნდა წერო. უიტმენი რომ უიტმენი იყო, ისიც კი სოველითის ბოლოში იხდიდა და ამბობდა: გასაგებია, რომ თქვენთვისაც უნდა ვწერო, იგულისხმება, რომ თქვენთვისაც ვწერო... უიტმენს აქვს ლექსი „Salut Au Monde“, ალდაც მთელი მსოფლიოა ჩამოთვლილი. მე მაქვს ცოტა უფრო მოკლე ვარიანტი – „უოლტ უიტმენი ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ“. ურავს დაბოძნაზედ ერთი თვე ადრე დაეწერე, მერე აქციაც მოგანგვეთ, მერე სუკის თანამშრომლებიც მესტუმრენ სახლში... საბოლოო ჯამში, სისულელე გამოვიდა ეგ აქციაც. მე ვიცავი აბსოლუტურად გულთხადი ამ პაციფიკური ლექსის წერის დროს და მართლა ვგრძნობდი ამ ყველაფერს, მაგრამ ვიღაცებმა ეს მერე გაუფხვრეს. არ შეიძლება ყველაფერი შოუ ჰქონდეს. რაღაცა რომ კარგად დაიწყება, კარგი საპირფარეო გამოიწვევება და აქედან შეიძლება ძალიან ნიშნულზედ ჩამოვარდეთ რამ გავითვალისწინოთ და სათქმელმა მიზანს მიაღწიოს, უცებ ამას ვიღაცეები იგრძნობენ და „მოასხმებიან“ და მერე აღარც სათქმელი გამოდის, არც საქმე და ის ადამიანები, რომელთაც მართლა შეუძლიათ ამ საქმის კეთება და მართლა აღიარებდნენ ამას გული, იკარგებიან, რადგან არ არიან უტიფერები.

ბოლო 3-4 წელია პიროვნებად ვარ გატაცებული. ვთქვით, დაინტერესდი ქართული პიროვნების ყველაზე დიდი წარმომადგენლებით: მიქაელ შოლერევილით, იოანე მინჩინი, იოანე მტკვარელი. ამ სამს ვასახლებ, თორემ ძალიან ბევრნი არიან და ერთმანეთზე უკეთესები. გადამწყვეტი, მოძებნო ამ ავტორთა შემოქმედება ინტერნეტში, ხომ გვაქვს

ლიტერატურული პორტალები, სადაც თავი აქვს მოყრილი მთელი ქართული ლიტერატურა. იმეორეთ სახით არის ეს ყველაფერი წარმოდგენილი, ვერ გავიგებ რა წერია, ვიზუალიზაცია დაქარგული აქვს, როგორც უნდა ენერგოს, ისე არ წერია, სათაურები არა აქვს, არსებობს და ტექსტებიც ძალიან ცოტაა. არა გვაქვს ქართული პიროვნების ელექტრონული ფონდი. სკოლაში რომ არ ისწავლება, ამას თავი გავაზნებოთ, თითქმის არავინ რომ არ იცის და დღემდე ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ეს პოეზია კი არა, საუკუნისო ტექსტებია, ეს კიდევ სხვა საკითხია. ელექტრონული ფონდის შექმნა ყველა ვარიანტში უნდა მომხდარიყო, მეუწეობდა პიროვნების პოპულარიზაციას ხელს თუ არა, იმას ვიზიტი, რომ ჩვენი განიდი გეგმონდა ციფრულ ვარიანტში. იგივეს ვიტყვი გივი გეგმეკორზეც. მთელი ინტერნეტი რომ გადაატრიალო, ამ პოეტის ერთ სიტყვას ვერ იპოვი, იმიტომ რომ, არავის აინტერესებს. ყველაფერი მოიგვრება. როდესაც ახალგაზრდა ხარ, გგონია, რომ ყველას ყველაფერი აინტერესებს, მერე იგდები, რომ ერთადერთი, ვისაც შეიძლება შენი საქმე აინტერესებდეს, ეს თვითონ შენ ხარ. შენ თუ არ გაინტერესებს შენი საქმე, სხვას არავის დაინტერესებს.

ვარდების რევოლუციის შემდეგ თითქმის არასად მიმიღია მონაწილეობა. არც ნიგმა გამოიცანია... ერთადერთი, „ერთი ლექსის თარგმანის“ კონკურსი ვიღებდი მონაწილეობას ჩემი მეგობრის, ბესო ზედელიძის ინიციატივით და რამდენჯერაც მივიღე მონაწილეობა, იმდენჯერ გავიმარჯვე. ისე, საერთოდ არ ვაქტიურები, არადა ექნადა. ახლა ბევრი მეუბნება, რომ მიჭირს პოეტი ვარ, კარგი გემოდება მაქვს. შენ ოჯახშიმეხურო, ასეთი ნიჭიერი თუ ვარ, ასეთი კარგი თუ ვარ, ასეთი გემოდება თუ მაქვს, ერთხელ მაინც ვერ დამიხსენი სადმე სამხურში, ან ეოლის ნეწარა, ამდენი კონკურსი ტარდება... ცუდად გამოვიყურები, რამე მაქვია, თუ არ ვიცი რაშია საქმე 2003 წლიდან 2012 წლამდე იყო სამხრელი დრო, რომელსაც წარმატებას გამოვიყენებოდა ადამიანების დროს დავარჯიშედი. ანუ იყო წარმატების დეგრა: ვინ უფრო მეტს იაქტიურებდა და წარმოაჩენდა თავს, ლიტერატურა გადაიქცა თავის გამოჩენის ასპარეზად. თითქმის ესტრადა გახდა. მაგრამ ამ დროს პირობითაც „იშემა“, ყველაზე საუკეთესო ავტორები გამოაჩინა, რომლებიც საერთოდ არ აქტიურებიდნენ და ყოველთვის ჩუმად იყვნენ. ამ დრომ დაინერგა ძიება გმირის, რომელიც არ იღებს მონაწილეობას ამ ყაბასა და საზინელეობაში და გამოიჩინა მათი სარიტორი, ზვიად რატიანი... იმით ბესო ხარბანული გახსენდათ.

ტანჯანდურის ასეთ დროში ყოველთვის გამოჩნდებოდა გმირები ლიტერატურულ საზოგადოებაში, რომელთათვისაც ნიშნულს აწეს, მაგალითად, პრემიის მისცემ, თუ არა... მეც ზუსტად ასეთ ადამიანებს მივეუბნებოდი... პროტესტის ნიშნად, საერთოდ მიიწიხნენ ვიყავი წასული ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბოლო ათი წელი მინას ვთხროდი და მინას ვყიდდი. ამოვთხროდი, ჩავყრიდი პარკში, გავეყიდე... ბოლო ათი წელი ამით ვირჩენ თავს. პრეტობით რომ თავს ვერ ვირჩენ, მაგიტომ არ განიკეთება ეს. ეს ყო რაღაც თავისებური პროტესტის ფორმა. ქალაქში ყველგან ნებისმიერ მალაზიამ იყიდება ჩემი დამზადებული მინა, მცენარეების მინა. ეს ბიზნესი არაა, ბიზნესი რომ იყოს, განვავითარებდი. ამ საქმეს დიდი პერსპექტივები ჰქონდა ყოველთვის. ექსპერტები შეუბნებოდნენ, რაღაც რჩევებსაც მაძლევდნენ, ეს შეიძლება ძალიან დიდი ფულის შოვნის საშუალება გახდესო. მე კი, როგორც პირველ დღეს, იმავე ელემენტარულ დონეზე დავტოვე. ასე ემუშავებდა ჩემი ხელებით. დღესაც ვაგრძელებ ჯერჯერობით...


იმისათვის რომ აფხაზეთი თავისუფალი იყოს, ჩვენ უნდა ვყოთ თავისუფლები. ჩვენ კი ვერ გავთავისუფლებდით უერთმანეთოდ. თავისუფლება, როცა საკუთარი თავისგან თავისუფლებები, ეჭვებისგან. ისიც თავისუფლებაა, როცა სიკეთე გახსნობა, მისი გაკეთება გინდა და უნდა გათავისუფლდე ამ სურვილისგან. იყოს ეს შენთვის, როგორც კი — კი და არა — არა. გინდა სიკეთის გაკეთება — გააკეთე, არ გინდა — არ გააკეთე, ესეც თავისუფლებაა. იყო დრო, როდესაც იმაზე, რაც დღეს სამთავრობო პოლიტიკაა სახმარეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში, ძალიან ხმაშალა ეს აუბრობი ტელევიზიებიდანაც, ინტერვიუებშიც და მაშინ ძალიან უცნაურად ჟღერდა ჩემი მოსაზრებები. ზევრი მოლაღატედაც მოვლიდა. მირეკავდნენ სახლში და მეუბნებოდნენ, რომ ჩემიარების ბრალია ყველაფერი, მე ვარ გამყიდველი და ა.შ.

შენს ძმას საკადრისად უნდა მოეცე. ჩვენ გვაქვს ამის საუკეთესო მაგალითი სახარებაში — „უძლები შვილის იგავი“. როდესაც შვილი სახლიდან მიდის, მშობლები უქმნიან მას ყველანაირ პირობას, რომ წავიდეს და შემდეგ დაბრუნდეს. თუ ძმა ხარ, პირველ რიგში, უნდა იზრუნო იმაზე, რომ შენგან წასულმა ძმამ ოჯახი გაამარდეს, მომარდეს, ფსა-

ვი ნოინაგროს იძიათვის, რომ როდესაც დაბრუნდება უკან, შენ იყო გულმართალი მის წინაშე. როცა მე ვიბრძოდი, მაშინ არ მქონდა ასეთი მოსაზრებები, მაშინ საერთოდ არ იყო მოსაზრებები რმის დროს მოსაზრებები არ არსებობს. ომის დროს მოსაზრებები აქეთ ზოლოდ წრდასრულ, ფილოსოფიურად მოსაზროვნე ადამიანებს, ჯარისკაცებს მოსაზრებები არ გააჩნიათ. მაშინ მე მქონდა ერთადერთი აზრი, რომ ადამიანი არ მომეკლა და ყველანაირად თავს ვარიდებდი ასეთ სიტუაციებს. ერთადერთი ეგ, თორემ მაშინ რომ ვმეთვალა, მომავალში რა ნიშნებოდა, ამ შემდეგ როგორ მოგვიწევდა ურთიერთობა — არა. როდესაც ორი ადამიანი ჩხუბობს, არ ფიქრობს, მომავალში რა იქნება, ამ დროს ის აფუტქმია...

რაზეც მთელი ეს ხანი ვლაპარაკობდი, ამის შესახებ უკვე აღარ ვილაპარაკებ. ამის შესახებ ილაპარაკებენ პაატა ზაქარეიშვილი, გურამ ოდიშარია, ირაკლი ალსანიძე. სამივე იზიარებს ამ მოსაზრებას თავიდან ბოლომდე, ორ მათგანს ძალიან კარგად ვიცნობ... მე მთავრობის სალაპარაკოს უკვე აღარ ვილაპარაკებ, არ მასურს, მისი სათქმელი ვიმეორო და გამომდინარე იქიდან, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მოზიკია არ გამაჩნია, მირჩევნია, ჩუმად ვიყო. ჩემი საქმე იქნება, თუკი მოგახერხებთ იმის გაკეთებას, რომ ჩამოვიყვანოთ სოხუმიდან აფხაზი მწერლები, მოეაწყოს აქ მხევედრები, ამ ჩვენ ჩავდეთ იქ. გაუმართოთ საღამოები, დავსაღეთ და ჩვეულებრივად დაველაპარაკოთ ერთმანეთს, ლუდი დავლით, ღვინო დავლით, ზღვაზე ვიბანათ, ათასი სისულელე ვაკეთოთ ერთად...

მომაზადა დიანა მიქაძე



შავი ფრინველი თან მიყვება
სად მიდის
იჭიროს მაგრამ არ იჭიროს
ციოდეს მაგრამ არ ციოდეს
დაიფეროს მაგრამ არ დაიფეროს
სად მიდის

ორივე ვაჟი დაბრუნდა
ორივე ვაჟი დაბრუნდა შორი გზიდან
მამის ავადმყოფობა შეიტყვეს და ორივე დაბრუნდა
ბოლო ღიმილი უთხრეს
ბოლო ხელი შეახეს
ბოლო საკლავი უკურთხეს
ორივე დაბრუნდა

ათი შვილიშვილი რჩება იბ ურს
ათი შვილიშვილი
ხუთი უფროსი ყაფისგან
ხუთი უმცროსიდან
ათი შვილიშვილი
ორი გოგო სამი ბიჭი
ორი ბიჭი სამი გოგო
ათი შვილიშვილი



ასჯერ ბევრი მტკაველი ყანა რჩება იბ ურს
ასჯერ მეტი მტკაველი ყანა რჩება იბ ურს ლაგაშის ჩრდილოეთით
თოხით არხი მიიყვანა
ქარისმჭამელი ბეგები დარგო
კარგი მოსავლით იხარა
ასჯერ ბევრი მტკაველი ყანა რჩება

ორჯერ ბევრი კამეჩი რჩება იბ ურს
ცობალის ხის სიმაღლე სახლი
კუძარის ხის სიმაღლე ქერი
იქაური თიხის აგურით ნაშენი
იქაური მინის სუნიტ გაშთარბი
სახლი რჩება ლაგაშის ჩრდილოეთით

მაგრამ იბ ურს გული სხვა მინას აფიქრებინებს
გზაზე მავალს მშობლიურ ქალაქს აფიქრებინებს
სიკვდილში მიმავალს მშობლიურ ქალაქს აფიქრებინებს
სიკვდილს ხედავს
სიცოცხლე ნახა – ქალაქი ვერცერთხელ
ვაზი გასხლა
ღვინო დაწურა
სიმთვრალე ნახა – ქალაქი ვერცერთხელ
ქალი იცხოვრა
ვაჟები დაზარდა
სიხარული ნახა – ქალაქი ვერცერთხელ
იბ ურს გული სხვა მინას აფიქრებინებს

იქ მამამისის სახლი აღარაა
იქ ბაბუის მამის სახლი და შურსაცხოში ლუგელი აღარაა
ახალმა მეფემ აუკრძალა იმ ღრს ქალაქი
სიკვდილს პირდება მეფე – მაგრამ აქვეა სიკვდილი
ღმერთებს გადაცემო მეფემ – მაგრამ აქვე არიან ღმერთებიც
ბნელში გაყოფები მეფემ – მაგრამ აქვეა ბნელი

იქნებ ცბენებით მოვაჭრედ გადაცმულიყო და ისე ენახა
იქნებ მათხოვრია ბელისგული ამოეღო და ისე შეპარულიყო
იქნებ გიჟივით შევარდნილიყო და ერბინა სანამ არ შეიმკრობდნენ
იქ არის მიაი ორივე თვალი
ორივე ყური
ოთხივე კიდური
სიკვდილს ვერ მიჰყავს
იმ ური ახლა ქალაქშია
შობილიურ ქალაქში

2

ყველა ღმერთმა კარგად იცის
ყველა ღმერთმა კარგად იცის სიკვდილის წინ კაცი სადაც სურს იქ უნდა ამყოფო
გაუბრობის წინ კაცი სადაც სურს იქ უნდა ამყოფო
დანარჩენი სიბნელეა
დანარჩენი ფიქრის გარეშე დარჩენილი სიბნელეა
დანარჩენზე რა უნდა იცოდეს იმ ღრმა
რა უნდა იცოდეს
ყველა ღმერთმა კარგად იცის

აღშოსავლეთის ქარმა დაბერა – აჩქარდით ანიშნებს
იმ ური ქალაქის დატოვებას არ ჩქარობს
დასავლეთის ქარმა დაბერა
თვალეზე ბინდი მოახვია
ვერაფერს ხედავს
იმ ური ქალაქის დატოვებას არ ჩქარობს
ორივე მუხლი წაერთვა
ხელები გაუმშადა
ტუჩი მოეკუმა
ქალაქის დატოვებას არ ჩქარობს
სიკვდილს არ ეშორჩილება
ყველა ღმერთმა კარგად იცის

3

განისხვა ქვეყნელი ბრწყინვალე ერემქივალე ტახტზე ზის
სიკვდილის დედოფალი ბრწყინვალე ერემქივალე ტახტზე ზის
იმ ღრს თავისკენ მოიხმობს კანონს შეახსენებს
დიდება კანონი
კანონს შეახსენებს კანონს ვერავინ გაექცევა
დიდება კანონი
ბავშვი და მოხუცი ერთად დგას მდინარის პირას



დიდია კანონი
სიკარელის დროინდელია ეს წესი
დიდია კანონი


მაგრამ იბ ური ქალაქის საძირკველს ებლაუჭება
მაგრამ იბ ური ძველოუძველესი სინლერას ამოიბს:

ურ მაღალია შენი კეალები და მტკიცეა გალაგანი
ურ წმინდაა ჩემი სიტყვა შენში და შენთან ერთად ჩემი ხორცი წმინდაა
თვალისჩინი ხარ ჩემი და შენშია ყველა სიმღერა და ჩემი მინა
შენი წყალია ჩემი წყურვილი
შენი პურია ჩემი შიმშილი

4

ერეშტიგალს სიბნელიდან შუქი ამოაქვს
დიდია კანონი
ქიდან წყალი თუ სიბნელიდან შუქი ამოაქვს
სიბნელიდან შუქი ამოაქვს
იბ ურმა იცის
იცის ამ შუქში რას დაინახავს
ვის იცნობს
ორივე მშობელი ერთი სუნთქვის მანძილზეა
დედოფალს სიბნელიდან შუქი ამოაქვს
წყალში გამქრალი უფროსი ძმა ერთი ღიმილის მანძილზეა
სიბნელიდან შუქი ამოაქვს
ახალგაზრდა ღამეში ცოლი ერთი ალერსის მანძილზეა
შუქი ამოაქვს
იცის ეს შუქი რასაც უღიბობს
გულში ნაღველი უჩნდება
იბ ურს გულში ნაღველი უჩნდება

ნაღველი რომ უყვარდეს
შიში დაკარგა სიტყვა უთხრა
ერეშტიგალს სიტყვა უთხრა
სიყვარული ეკუთვნოდა
ცოცხალი მიწა ეკუთვნოდა
დარჩენა სამუდამოდ
ცოცხალი მიწა სამუდამოდ
ქალაქი
ქალაქი



მაღალია ურის კედლები და მტკიცეა მისი გალავანი
წმინდაა ჩემი სიტყვა მასში და მასთან ერთად ჩემი ხორცი წმინდაა
მის წყალს წყურვილი ქვია
მის პურს სიცოცხლე ქვია
მის გულს მე დაგარქვი სახელი
დარჩი ჩემს ქალაქში
იქნები მაგრამ იქნები – არ იქნები მაგრამ არ იქნები
იმღერებ მაგრამ იმღერებ – ვერ იმღერებ მაგრამ ვერ იმღერებ
შეცდები სიყვარულს მაგრამ შეცდები სიყვარულს
სიყვარულს შეცდები
ხელი შენი ვერ შეირხევა
მუხლი შენი ვერ დაგიყრდნობს
გაგეცევა ძელიდან ხორცი
დარჩი ჩემს ქალაქში

რადგან ასე ისურვე
რადგან დიდ კანონს ჩემი ქალაქი არჩივ
დარჩი ჩემს ქალაქში
ყური შენი წყვდიადს მოისმენს
თვალი შენი სიჩუმეს დაინახავს
დარჩი ჩემს ქალაქში

ალარაფერი იქნება და ველარავისთვის იქნები
ალარასოდეს განდგება – ველარასოდეს
არავინ – ველარავინ
მე – სიჩუმე

ერთაგაშლილი ზღვის ფრინველია ჩემი სიყვარული
ღრუბლისხელა ჩრდილს ტოვებს
ზღვის ფრინველია ჩემი სიყვარული
ჩრდილს... ტოვებს
ჩემი სიყვარული ჩრდილს ტოვებს.....

„სამობაო კვარტეტი“ სიმულირებს სტრუქტურულ-ენობრივ და ჟანრულ დონეზეც. ის ერთის მხრივ „სიმულირებს“ ტრადიციული საგალობლისა და ჰიმნოგრაფიული პოეზიის ჟანრულობას და რიტმიკას და მეორეს მხრივ ამ ტრადიციიდან განყენების, აცილების გზით, ქმნის თვისობრივად ახალს, ახალი ტიპის, მოდერნისტულ, რეკონსტრუირებულ, ქალაქურ, „ურბანისტულ საგალობელს“. „თანამედროვე ჰიმნოგრაფიულ ლექსს“. ისევე როგორც თავის დროზე დაეთი გურამიშვილმა შექმნა ახალი ტიპის, პაგოტოგრაფიული ჟანრისაგან განყენებული, თავისი ეპოქისთვის თანადროული (თანამედროვე) „საერო ჰიმნოგრაფია“ (წიგნ სხვა, კონცეპტუალურ მხატვრებასაც დაეყრდნობა გურამიშვილთან). ამიტომ „სამობაო კვარტეტის“ როგორც „ურბანისტული საგალობლის“ პოეტური ენა ხასიათდება ქალაქური ნარატივისთვის ნიშანდობლივი, მეტაფორულ ფრაზეოლოგიასთან შეთვისებული ეგზისტენციალური ვულგარიზმით. საღვთო ფორმა კონვენციურია, მაგრამ ტექსტის შინაგანი რიტმიკა და თხრობის ინტონაციურობა გამოკვეთილად პროზაულ-რიტმული. ეს არის, ერთსა და იმავე დროს, ვულგარულ და მეტაენაზე შესრულებული სტრუქტურულად ბოლომდე გააზრებული და სემიოტიკურად ნახევრადგააზრებული ნარატივი. სადაც ეს ორი სრულიად ანტიპოდური, პეტროტენური ენობრივი ასპექტები (ვულგარულისა და მეტაენისა) უბადლოდ, იშვიათი ოსტატობით არის შერწყმული. სახეზეა „შინაგანი ესთეტიკური ფაქტით“ გადანყევნილი პოეტური დიგლოზია (ორენოვნება). ამ მოვლენას შეგვიძლია მივუსადაგოდ ლიტერატურის თეორიამ ბახტინის მიერ დამკვიდრებული ერთ-ერთი ფუნდამენტური ტერმინი – პეტროლოგია (ორნომინია).



ზურაბ კიკნაძე

ჩვენი მეგობრის შალვა ბაკურაძის სახელს ამოფარებულმა ცნობილმა შუმეროლოგმა, რომელიც წლების წინ პენსილვანიის უნივერსიტეტში მუშაობდა კიდეც უფრო ცნობილი ანაგულულის თორკლედ იაკობსენის სახელით (თუმცა მათი მსგავსება მინიმალურიცაა, ან სულაც არ არსებობს – 1960 წლის ზაფხულში თვით-გამოთქმულ იდენტიფიკაციაზე უკან წავიღო, რითაც საკითხს კიდევ უფრო გავაზნაოვებინებ. დაე, აჲ იყოს. წინ წაივდეთ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა გამოაქვეყნა დიდი ხნის დაპირებული თარგმანი ერთი ზუმერული პოემისა, რომლის ტექსტი დიდხანს დაუძლეველ ენიგმად რჩებოდა პროფესიონალთა წრეში. რას წარმოადგენს იგი? როგორია მისი შერწმუნეტიკა ისტორია მისი პირველგამოქვეყნებიდან იმ დღემდე, როცა მისი თარგმანი უკვე ჩვენს ენაზე არსებობს. ზოგადიდან დაიწყეთ. ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია ზუმერული იგროგლიფიკის (ლოგოგრამებისა და აბსტრაქტული ნიმუშების, რომლებიც მხოლოდ უმინარესო მარცვლებს გამოხატავენ, მაგრამ წარმოშობით რომელიმე უცხოში ენის სემანტიკას შეიცავენ) თითქმის ეზოტერულ სფეროში, შეამჩნევდა, რომ სულ რაღაც ათნეულელების ინტერვალთა იგროგლიფურ ცვლილებებს განიცდის; ისე რომ, ამ ენის გასული ერთხელ-გააცოცხლეს, შევდრებით აბაღდონეს, დაბედა, რომ პერიოდულად კვდებოდეს და პერიოდულად ცოცხდებოდეს მსგავსად იმ განთქმული მწყემსისა, უწყალო ერისის მსხვერპლი რომ გახდა ერთხელ, და კვლავ და კვლავ პერიოდულად იმეორება ან ხვედრს. ასე რომ, ფიზიკურ, ნივთიერ სამყაროში მდებარე ტექსტი „იგივეა მარად და მარად“, მაგრამ მისი მეტაფიზიკური, ნივთმილური სახე იცვლება. აი, ეს პარადოქსია: ის, რაც ცვალებადი და წარმავალი უნდა იყოს,

უცვალბელა; ის კი, რაც უცვალბელა უნდა იყოს, იცვლება. სავთაა შორის, ამის მსგავსი პარადოქსი იბოვება ჩვენი ზუმერისტიკის მიერ მომოდებული თარგმანში, რომელიც, უნდა ნიანსხარ ვთქვათ, დედნის ერთ-ერთი შესაძლო წყნარმა მეტაფიზიკურ დონეზე: „იქნები მაგრამ იქნები – არ იქნები მაგრამ არ იქნები“, რაც დამერწმუნეთ... მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი წარმავალი ინტერპრეტაციაა იმ რეზუსისა (ან ცნებათა პირდაპირი მნიშვნელობით), რასაც ის გაყინული, ამდენადვე გამოუცნობი, ტექსტი წარმოადგენს. ასეთია მისი ყოველი თარგმანი, რომელიც ჯამიდან ჯამზე ათნეილნადგამოშვებით განახლებული სახით გამოდის დღის სინათლეზე. და განა მხოლოდ ეს კონკრეტული ტექსტი? ჩვენ ხომ მთელს ამ ენაზე თავის ფონეტიკულ-სემანტიკად ვლაპარაკობთ. ამ პერიოდულ ცვალებადობას მიზეზია, რომ ეს ენა, ზუმერული წოდებული, სინამდვილეში კინეგორული) ხან, სახელდობრ, გენიალური ფრანსუა თოურო-დანგენის ეპოქაში, რომლის სულით ჩვენი თანამედროვეობა იმეორებს, ვერცხვით გამოიქვება, ქართულ-ზანრად ეჭრებოდა, ხან კი – სვანურად, როცა ადამ ფალკენშტაინმა მისი ახლებური ჟღერადობა გამოაჩინა.

„ეს იყო ნაადრევია, მაგრამ გაბედეული ცდა იმ დოკუმენტის შესაცნობად, რომელიც ბევრ ლინგვისტურ სირთულეს შეიცავდა“. გვამცნობს ტექსტის უკანასკნელი მთარგმნელი მისი 1940 წელს გამოქვეყნებული ტრანსლიტერაციის შესახებ. ის ახსენებს 1955 წლის ტრანსლიტერაციასაც, რომელიც ეკუთვნის სამუელ ნოა კრამერს, დიდრეზიანში ზუმეროლოგის ანტიპოდს. პირველი (მხიარული ოდესიტი) თუ ზუმერულ ტექსტებს მეტისმეტად ამარტივებდა, მე-20 საუკუნის სამუელ კაცის მეტსწლიტეს უსადაგებდა, მეორე (პირველი ნორდელი) მეტისმეტად ართულებდა, თითქმის გაუგებრობამდე დაყავდა ტექსტი... პირველის მიზანი იყო, სიძველეთა შექმნილი ზუნდოვანება მკითხ-

ველამდე მიათვას გასაგები სახით მიეტ-
ანა, ნეონის კი – თავად მკითხველი მიეც-
ვანა ბუნდოვანებად და მის პირისპირ,
როგორც საიდუმლოა ნინაში, დაეტოვე-
ბინა; კომენტარები, რომელთა დართვას
თარგმანისთვის აუცილებლობად მიიჩ-
ნედა, კადვე უფრო აბუნიდოვანებდა
ნაკითხულს.

კრამერისკული ბოლო (1955) თარგ-
მან-პუბლიკაციის შემდეგ ნიპურში, გვამ-
ცნობას ავტორი; სრულიად მუმერის
რელიგიურ და კულტურულ ცენტრში,
აღმოჩნდა ამ პოემის ფრაგმენტები – ამ
დროიანთვის კი, როცა გასული იყო ხუთი
ათწლეული, შემერული ენის ფონეტი-
კურმა პაბიტუჟამ და სემანტიკამ ისეთი
ცვლილებები განიცადა, რომ უიმედოდ
დამორდა ქართულ-სვანურს და ტიბე-
ტურს დაუხლოვდა. უფრო მეტიც: პოე-
მამ თავისი თავი ველად იცნო.

სულ ახლახან, ჩვენს ბუდკარულ,
მღელვარე აინამდვლებში, პოემამ კელე
ახალი სახით გაგვასწრა თავი. თუმცა,
მზგინეგვს საკუთარი ნათქვამისადმი
შენიანაღმდევდა. ეს არ არის საბოლოო,
თუმცა გვირბობს ტოლფასია ჩვენს დრო-
ში. გულწრფელნი რომ ვიყოთ, უნდა
ვგაღიაროთ, რომ ცვლილებას განიცდის
არა ტექსტი (არც ემიზიონული, არც
მეტაფიზიკური). არამედ თავად ადამი-
ანის ცნობიერება (დეკორბა ვინმე, რომ
თაბორის მთაზე ფერე ქრისტემ იცვა-
და და არა მის მხილველთა ფიზიკურმა
თვალეზმა, რომელთაც ერთ წამში შესლეა
შეჭმენილი მარადიული ნათელის ბილ-
აქ), დღეს უკვე შესაიღებელია ანერგე-
ბული აკულარაზიაციად ნომდინარე,
გაძლიერებული, იდეოლოგიამდე აცვანი-
ლი ეპატაჟია ხანაში, შუმეროლოგიის
არაებობის ორი პურიტანული საუკუ-
ნის კდენამოსილებას ტექსტში განივთე-
ბული ქუმმარტიტება აღარ შეეწიროს. იმ
კდემამოსილების ხანის თარგმანებშიც
კი, თუმცა სპორადულად, მაინც თავს
ჩენდა ერობინის კვალი, რომელიც
ქვერგებას არა მხოლოდ სიტყვიერებას,
არამედ მთელ მის კულტურას მკაფიოდ
გამოარჩევს აქადურისგან, რაც სასულ-

დაგულოდ იჭმალბოდა აქადურ ბნკარედულ თარგმანებში.
ახლა უკვე ჩვენი ფერნაცვალი ცნობიერებით შეგვიძლია ჩა-
ვალწიოთ ტექსტის იმ რეალობამდე, სადაც ერობინი მოშვლად
ჩანს და არაერთარ მეტაფორულ მენაცვლებას ამ მოითხოვს
(ვისთივის?). უკანასკნელი ხუთწლეულის (2005-2010) განმავ-
ლობაში ნომდინარე რადიკალურმა ძვრებმა ზუმერული იერო-
გლიფიკის შეცნობაში და დიგიტალურმა ტექნიკამ, რომელიც
გამოყენებული იქნა სტილიზებული ლურსმული ნიშნების შე-
დარებისას მათ ბატონან ნინაპრებთან, ახალი პერსპექტივები
გადაშალა ზუმერული კულტურის აღქმა ნინაში. შ. მაკურასე
არ ასვენებს, მაგრამ შეუღლებლად ნინაწნია, მას გამორჩეოდ
ზემთინახსენები ხუთწლეულია პერიოდში ახალი დროის პური-
ტანთა და მოსტმადერისტია ზორას გაიხატებული პოლემიკა
შუმერული პოემის („განგებულება ხორცით...“ – ეს მისი სათაუ-
რია დასაწყისი სტრიქონების მიხედვით, რანიც დღესდღეობით
უგზოუკულოდ დაკარგულია, მხოლოდ ძველ კატალოგება და
კოლოფონშია შემორჩენილი) ახალი ტრანსლტეგაციისა და
ლათინური თარგმანის (De carnum destinatio) გარშემო, რომე-
ლილაც ოდნორულ, ამდენადვე გაუნდობლთათვის მიუწვდომელ
ზონაში დარეგისტრირებულმა ლურსალმა (*Analecta sumeriana*,
3/2010) რომ გამოსაქვეყნა. ახალი თარგმანი მით უფრო სარწმუ-
ნოა, რომ მისი ავტორი სასულტოლო პირია (P. Meliscar Zaramiensis
S.J.) და გერაფრთი დაენამებთ მას „პორნოგრაფიით“ გატაცე-
ბას; თუმცა ამ საჭოჭმანი ცნების რეტროაპეტეული მიყენება
შუმერული სამყაროსადმი გაუმართლებელია, მისი არარსებობის
გამო იმ ეპოქაში, რამდენადაც მხოლოდ აათეო იყო რეალობა,
ერთადერთი რეალობა, რომელსაც გარეშე თვალს არ ამონებდა
და არც აფასებდა. ღირსმა პადრეს პირუთენელად დანოშმა,
შესაილოა, თავისი ნების ნინაღმდეგ, ეს რეალობა.

ლათინურ თარგმანი ყოველგვარი ცვდემების გარე-
შე, ამ ენის არცთუ მწირი რესურსებით გადმოცემს იმ რე-
ალობას, რასაც ქართველი მთარგმნელი პურიტანულად „მიშ-
ველ გორაკად“ (სადაც დგას კაცი) და „ვერის ყანად“ (სადაც
ასვენ დგას კაცი) გადმოცემს, მაგრამ მეტაფორა მაინც არ
ფიქრება, ის მიშველად და გასცევი თავის თავს. ნიოსთველი, თუ
დაკვირვებით ნაკითხავს ქართულ ტექსტს, ლათინურია დაუხ-
მარებლადაც ამოკითხავს მასში დაფარულ ეროტიკულ შრეს,
რომელსაც საგულდაგულოდ ნაღავდნენ თაობები. მხოლოდ
დახანება სუთ სტრიქონზე ვიჭყვი, რომ ყოველი მისი სიტყვა
ურიდან (დიგიტალური ნაკითხვით – საბო) დანყებული სიტყვის
(ხორცზე აღარ ვლაპარაკობ) ჩათულით და სახელით დათავრე-
ბული ხორცია განგებულებას (იბ. სათაურო) ამხელს. თანამე-
დროვე მკითხველს, განსაკუთრებით, ცნობილი მმართულებების
მწერალს, მიენდოს ამ ტექსტის სიღრმისეული, არსებითად,
„ზღვის დონემდე“ დასული და, ამდენად, დასაბამიერი ნაკითხვა.
მას ეს არ გაუჭირდება.

მაღალია ურის კედლები და მტკიცე მისი გაღვანო
ნმინდა ჩემი სიტყვა მასში და მასთან ერთად ჩემი ხორცი მმინდა
მის წყალს წყურვილი ქვია
მის პურს სიცოცხლე ქვია
მის გულს მე დაეარქვი სახელი



P.S. შემჩნეულია, რომ თიხაზე აღბეჭდილი ლურსმული ტექსტი ფირფიტის დაზიანების გამო სწორედ იქ წყდება, სადაც მკითხველი ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან, არსებით მომენტს მოელის. ეს აუხსენელია. რატომ მაინცდამაინც იქ ურტყამს დროის მსახვრალი ხელი, სადაც ეპოქალური იდეა გამოთქმული. როცა ნინევიის ბიბლიოთეკის ჭერი ხანძრის შედეგად ჩაინგრა, სხვადასხვა ზომისა და სიმძიმის ფირფიტები არა იმდენად ქვემო სართულზე დაცემისას დაზიანდა (აქ იატაკი ფივიერი მინის იყო), რამდენადაც ერთმანეთთან შეჯახებისას. ზოგი მკვლევარი აქ განგების ხელს ბედავს: რაც ილუზება, ის გამოუთქმელია, მხოლოდ და მხოლოდ იმ ხანას ეკუთვნის, როცა შეიქმნა, სადაც მომავალი ვერ შეაღწევს. დალუპვა, გაუჩინარება, ამბობენ, გამოუთქმელობის გამოხატულებათაო. ტექსტი თავის თავს ანადგურებს. რა რჩება მომავალს? მხოლოდ ჩენო, როგორც ყალიბი, საიდანაც აღმოსაცენებელი სახე უიმედოდ დაკარგულია. არ არსებობს ტექსტი, რომელსაც ხარვეზი არ შექნდეს. „განგებულება ზორცთ“... არ არის გამონაკლისი, მისდევს ამ ტრადიციას. ასეთია მეოთხე ფირფიტა, რომლის შემონახული ფრაგმენტები, შესაძლოა, ნაწარმოების სწორედ მარჯველ სიტყვას ინახავდეს, მაგრამ უკონტექსტოდ დარჩენილი, მთარგმნელია ნებაზე არიან მინდობილი, როგორ აღადგენს იგი კონტექსტს. ბევრი ცდილობს, მაგრამ შედეგი მხოლოდ პროფანაციაა. ჩვენი მთარგმნელი არ გაყვა ამ გზას და ფრაგმენტები, რომლებიც გვანოდევენ საკანძო სიტყვებს (ნალველი, შიში, სიყვარული), ფრაგმენტებად დაუტოვა მკითხველს მისი თავისუფლების გამოსაცდელად.

25 ოქტომბერი, 2012

[სალპომან ნისმან]

გზამ დაიფაროს ყველა მგზავრი,
გზამ აზიაროს მოკლულები,
გზამ ამიხილოს გული
ამ სიმღერაში, რომლისთვისაც
სამ უკანასკნელ შუალამეს
გარს უშედეგოდ ვუვლი.

ზღვამ გამიმხილოს მარილი და
ამ მიწიანი ლაყურებით
კვლავ ამამდელი შენთვის,
რომ შენი ხელი კიდევ ერთხელ,
რომ შენთან ყოფნა კიდევ დიდხანს,
სხვა არაფერი მეტი.

აქ ყველაფერი შენითაა,
აქ ყველა ძილი შენთვის მღვიძავს
და უფრო ვხვდები, მენდე
თუ ეს სიტყვები დღევანდლამდე
უერთმანეთოდ, როგორ ძლებდნენ,
რას ელოდნენ და ძლებდნენ.

ძლებს ჩემი ხსოვნაც ომგამოვლილ
ძლებს გადამტყრულ მეგობრებად,
ნლებს გადახოტრილ ბავშვად,
რომ ჩემი ლოცვა სიყვარული
მათ დაუფინყარ სახეებად
ამ სიმღერაში ჩავსვა.

ესვა შენი წყალი სერობებზე,
ესვა შენი ღვინო ოქვანიდან,
სხვას ველარავის ვანდო,
ეს ეჭვით საესე გულისჯიბე,
მტვრით გაჟღენთილი პერანგი და
მზით გაცრეცილი მანტო.

რომ ყველაფერი დაგავინყო,
რომ ყველაფერი მაპატიო,
რომ შეჩურთული სადმე
ბნელ კარადაში მიპოვნო და
ფრთა სახელოში გამიყარო,
ტანთ ჩამიცვა და გავთბე.

ამ დილას, მარტის ამ ღრუბლიან დილას, სანამ დედამიწა ჯერ კიდევ სუნთქავს, სანამ ბალახი ჯერ კიდევ ცდილობს ბედნიერების ენაზე სიმღერას, სანამ თევზები უდარდელად ცურავენ ზღვებსა და მდინარეებში, სანამ ყინული არ გამდნარა პოლუსებზე, სანამ სიხარული ლანდფიქსი დაგვდევს, არ შორდება თითოეულ ჩვენგანს, მე მოგმართავთ თქვენ, ადამიანებო, მარტის ამ ღრუბლიან დილას, მოგმართავთ თქვენ, ვინც ამ მიწაში პირველყოფილ ხეებზე ღრმად გაიდგით ფეხები, ვინც ამ მიწისთვის უფრო მეტი ხართ, ვიდრე წვიმა, ვიდრე თოვლი, ვიდრე მზე და ვარსკვლავები, ვინც ბალახით ამ მიწიდან ამოღებართ, ამ მიწას ქამით და ამ მიწისაკენ მიედინებით, მე მოგმართავთ თქვენ, ადამიანებო, მარტის ამ ღრუბლიან დილას მოგმართავთ თქვენ, ვინც შორეულ აღმოსავლეთში ბადებთ დახუშნულ თევზსაჭერი გემებით გადხარტ ზღვაში, ვისაც ჩინეთის ყველაზე წყლით მოწყულ ველებზე მოგვით ბრინჯი, და ყოველ ღამით ნესტიანი ფენისგულებით ოჯახებში მიგაქვთ მინა, ყველაზე მინა, რომელიც თქვენ ხართ, ვინც ავსტრალიის ქალაქებში და სოფლებში სახლობთ და კარგად იცით, რომ ეს წმინდა მიწაც თქვენია, ვინც ინდოეთის ქუჩებში სხედხართ ხელგანწევილი, ან ყვავილების თაიგულით მიიქცებით ტარებისაკენ, სადაც ლიბიისა და დუმილში განაფული ღმერთები გელიან, ვინც რუსეთის თვალუწვდენელ სტეპებში ცხოვრობთ, თქვენი სულივით გამჭვირვალე არსით ხართ მთვრალი და ჯოჯოხეთ ცდილობთ ერთმანეთის შეყვარებას, ვინც სახარაში ოაზისიდან ოაზისამდე დაატარებთ ხორბალს და მარაოს, თქვენი კანი იმ მიწაზე უფრო შავია, რომლიდანაც აღმოცენდით, თქვენ ამ მიწის პირმშობი ხართ, მოთმინება მისგან ისწავლეთ, ვინც ეგვიპტის პირამიდების ფერხით ხნავთ და აშენებთ სახლებს და ყველაზე ჩვეულებრივ ფონად აღიქვამთ ფანჯრის მიღმა გაქვავებულ ათასწლეულებს, ვინც საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის ან ესპანეთის ქალაქების ლაბირინთებში ხელისცეცებით ეძებთ სიხარულს, ვინც უკრაინის, ბელარუსის, ან საქართველოს საზღვრებში სწავლობთ ბედნიერებას, თქვენ ის არასდროს დაგვიწყნიათ, თქვენთან იყო გაჩენის დღიდან, ვინც ჩრდილოეთის ყინულებს უძლებთ და ლამაზობით სიყვარულით ათბობთ ლოგინებს, თქვენს ძარღვებში ღვაჭზე უფრო ცხელი სისხლია, ვინც ნიუ იორკის ქუჩებში ხართ და მინადცეცულ ცათამბჯენებს ეძებთ თვალებით, დღეს თქვენ ყველაზე მეტად უწყით სიცოცხლის ფასი, ვინც ანაზონის, კონგოსა და ანალ გვინეს ჯუნგლებში ხართ და შორეული ვარსკვლავებით იზაგრძლივებთ პირველქმნილ ღმირს, ვინც ბალდადის თეიარანის და ქაბულის ცისქვეშეთში ხართ გამოწყვედულნი და ნუთი წუთზე ელოდებით ცეცხლოვან სიტყვას, მე თქვენ მოგმართავთ მარტის ამ ღრუბლიან დილას მოგმართავთ თქვენ, ადამიანებო, ვინც ვერ გახსენეთ, ვისაც ვერ გცნობთ, ვინც ისე შორს ხართ, რომ თქვენამდე ჩემი სიტყვა წლების შემდეგაც ვერ მოაღწევს, მე მაინც თქვენ მოგმართავთ, სიყვარულის და სიცოცხლის სახელით, დღეს არავის აქვს თქვენზე მეტი უფლება, გაილაშქროს სიკვდილის წინააღმდეგ, არავის აქვს თქვენზე მეტი უფლება, ხმა აიმაღლოს, იყვიროს, იღრიღოს სიცოცხლის დასაცავად, ჩვენი საერთო სალოცავის, სიცოცხლის დასაცავად.

დადგება დღე და სიყვარული ველარ მოკვდება.
ველარც ბალახი გაიხარება, ველარ იწვიება
ნიფია, მდინარე აორთქლდება, ქარი ხსოვნიდან

ამოიშლება. გამიქრება ის რაც მყოფინდა
სიყვარულისთვის, წაერთმევა ნინა სინძიძე.
დადგება დღე და სიყვარული ველარ მოკვდება.

ჩაქრება ღამე, დაღამდება ძილი, აქა-იქ
ნახიზმრალივით მიმოფანტულ ფრანგებს, საუბრება
ნამი გააქრობს – ესე იტყვის „აბა, მოფრინდა

სიკარილე, ღრუბლისხელა ანგლოზივით.
ის გადუფურენს
ქალაქს
და ქუჩებს აღარცოფნის ეჭვით მოსილაგა“
დადგება დღე და სიყვარული ველარ მოკვდება.

მანქანები და საათები გაქარწყლდებიან,
მოხუცა არავინ გააღვიძება და ცოლს გზის მხარეა
თავს ველარასდროს ზეუბრუნება ქმარი ხანმოკლე,

მტერი გულს აღარ ზამოიკებნს, შვილი არ მოკლავს,
შობილი არ ცემს, მეგობარი არ გაიარებს
დადგება დღე და სიყვარული ველარ მოკვდება.

დაქტნება სიტყვა – ფიქრა შეიშრობს – სასულენდეც კი
ვერ ამოაღწევს და ტუჩებზე ლოცვის ნარჩენებს
აღარვინ მოწმენდს, შორ ზეირსიცემა არ გაუთენებს.

ზღვის გვალიანი ცა შეიწოვა, ცა თვალუნვდინელ
ხმულს ენსგავსება და ვარსკვლავებს აღმოაცენებს.
დადგება დღე და სიყვარული ველარ მოკვდება.

შალვა ბაკურაძე კიმიოგრაფია, და
მისი შთაგონებული საგლობლები გა-
ნაგრძობენ ძველ ბიზანტიურ ტრადი-
ციას, რომელიც ეფრემ სირინისაგან
იღებს სათავეს. პოეტური სიტყვისად-
მი მისი მიდგომა ძალიან სერიოზულია,
ხოლო პასუხისმგებლობის გრძნობა –
უკიდურესი.

მაქსიმ ამელინი

შალვა ბაკურაძის ლექსების თარგმნა-
რთული და საინტერესოა. უფრო
ამის მიზეზი ისაა, რომ თავად მისთვის
ლექსების წერა რთული და საინტერესო
პროცესია. იგი ხომ მათში იყენებს არქა-
ულ ფორმებს და უჩვეულო სინტაქსს,
და ეხება ძალიან ღრმა თემებს. მაგრამ
ყველაზე მნიშვნელოვანი მის პოეზიაში
ისაა, რაც ჩემი აზრით დიდ პოეტს ყველა
დანარჩენისგან განასხვავებს: მიუხედა-
ვად მთელი ამ ფორმალური სირთულისა,
მისი ლექსებიდან ისმის ახალგაზრდული
და ძლიერი, სიყვარულით სავსე ხმა. ის-
ნი ცოცხალია.

ანა ზოლოტარიოვა

პეიზაჟი და საბავშვო ფონი

„მე რაც მაქვს, მხოლოდ უნთთვის ნაცვს და
რაც არა ნაცვს,
ისიც შენთვის მაქვს ზათენული“ და ეს რომ გამეგო,
ჩუნიად ახვედო, გამოვალე ცალი დარბაზი,
დღიბურაში რომ დანახა სოფლის სამრეკლო.

მგონი ოდნავი ქარი ეროდა, რადგან სარეცხის
ნესტიან თოვზე გადფენილ ცისფერ სარაფანს
რალაც არხედა და ფანჯრის ქვეშ ეზო დანრეცი
ხელს ვერ მიშლიდა დანახა სოფლის სამრეკლო.

ეზოში იდგა სამი მსხალი, ერთიც ქლიავი,
ნიგოზი ფილტვებდარბილული, მივეზის ფოთლებთან,
შო, გამაძინდა მუდამ დაქრის გრილი ნიაფი,
სწორედ ის, ახლა რომ არივდა, რომ აცოცხლებდა
ნესტიან თოვზე გადაფენილ ცისფერ სარაფანს,
ეზოში იდგა სამი მსხალი, ერთიც ქლიავი.

ეზოს ბოლოში ჩემმა იყო, იქვე ბოსელი,
გვერდით სალორე და თევზსმეტი ჩლიქით მოხედილ
აუნთქავადაორთქლილ ტყალაპა ბენებას

ვერ მოვისმენდი,
რომ არა დილის თაენკარა გრილი ნიაფი
და ალიონის ოდნავ სუნი, სწორედ ისეთი,
როგორიც არის გადამიდან უცხო მოხუერის
მორი ღმუილი და მის ფონზე სოფლის სამრეკლო.

ენ სექსტონი

Anne Sexton

(1928-1974)

მაჟინ კუზინი

ასე იყო...

(ფრაგმენტი ენ სექსტონის პოეზიის სრული კრებულიის
წინასიტყვაობიდან, *A Mariner Book, Boston, New York, 1999*)



ენ სექსტონს პირველად 1957 წლის ზამთარში შევეფდი. ჯონ ჰოლმისის პოეზიის ვორქშოპზე. ყველას ყურადღებას იქცევდა მაღალი, ცისფერთვალება, გასაოცრად გამხდარი გოგონა, მისი ყვავილებით გაღამებული საცულდაგულოდ დაბეჭდილი თმა, სახეზე პროფესიონალურად დადებული კოსმეტიკა, საყურე, სამაჯურები, ფრანგული სუნამო, მაღალი ქუსლები, პომადა და ფრჩხილის ლაქი... ნამდვილი მოდელივით გამოიყურებოდა. ზენ ორივე ამბიციური დამწერელი პოეტები ვიყავით. ჩვენს დაახლოება იმანაც შეუწყო ბელი, რომ ქალის ერთსა და იმავე ნაწილში ეცხოვრებოდა. მას მერე უახლოესი მეგობრები, პროფესიული მოკავშირეები და ერთმანეთის შემოქმედებისა და კეთილდღეობის ერთგული დამცველები და გულშემატკივრები ვიყავით მის სიკვდილამდე, 1974 წლის შემოდგოამდე.

ენ სექსტონის პრობლემური და ქოტურნი ცხოვრების დეტალები არავისთვისაა საიდუმლო. იმ დროს არც ერთი სხვა ამერიკელი პოეტი არ საუბრობდა თავის პირად ცხოვრებაზე. ენ სექსტონის პოეზიის გულწრფელობა და მასში საკუთარი ინტიმური ცხოვრებისა საჯაროდ გამოქანა იზიდავდა მკითხველს, განსაკუთრებით ქალებს, რომლებიც მის პოეზიაში საკუთარ პრობლემებს ხედავდნენ, მაგრამ ამავედროულად კრიტიკოსებისა და სხვა პოეტების, განსაკუთრებით კი მამაკაცების უმეაყოფილებას იწვევდა. ისინი თავს შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდნენ.

სექსტონია პოეზია მალევე გახდა მსჯელობის საგანი ლიტერატურულ შეხვედრებზე, პრესის ფურცლებზეა თუ კოლეჯის სტუდენტებს შორის.

დღემდე არსებობს რადიკალურად გამსხვავებული მოსაზრებები მისი შემოქმედების შესახებ. საკუთარი ცხოვრების დეტალებზე საუბარი ზოგ მკითხველს აჯადოვებს და ზოგში კი ზიზღს იწვევს. გარდა დიდი ინტერესისა და ენებთადასტურების მისი პოეზიის მიმართ, სექსტონია პოპულარობას ხელი შეუწყო მისმა არაჩვეულებრივმა ფიზიკურმა სილამაზმაც. მან დაამსხვრია იმ დროის წარმოდგენა პოეტი ქალია შესაბამის, რომელიც აუცილებლად მსკესნელი უნდა ყოფილიყო და ეს ნაწილობრივ იმიტომაც მოხდა, რომ ენს მოსწონდა თავყვანისმცემლების აღფრთოვანება. თუმცა, გლანურულ ქალში ულამაზო და საშვაროს ინდიფერენტულობით და სისასტიკით შემოსული ბავშვი იმალებოდა. ის დარწმუნებული იყო, რომ მის მშობლებს მისი დაბადება არ სურდათ, მასწავლებლებში, რომლებიც ყველა მის წილს და ევრც ანაგლის მიმართ რაიმე მიდრეკილებას ვერ ხედავდნენ, განუწყვეტილ უბრაზდებოდნენ და ენთან ურთიერთობისას მოთმინებას კარგავდნენ.

